



K224183  
3



# საქართველოს ისტორიის ქრონიკული მაგის






තධිජ්‍යීති සුළුවක - සාඡා මාධ්‍ය ප්‍රකාශක නිලධාරීන් සංඝේලුම් සාක්ෂිවල ප්‍රෙදාගැනීම් මුද්‍රණ සිංහල

# සාමාජික ත්‍රිත්‍යාලා විසංග්‍රහයේ මිනුම්‍යාලා ත්‍රිත්‍යාලා

තධිජ්‍යීති - 1996



302.4 (47922)

საქართველოს საკუთხის მუნიციპალიტეტი  
სამსახურის მიერ დოკუმენტი



“საქართველოს ისტორიის ქრონილოგია” განკუთვნილია  
ძირითადად სტუდენტთათვის თუმცა იგი ინტერესმოქლებული არ იქნება,  
საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მყითხველთა ფართო  
წრისათვის.

შემდგენლები: დოკ. ელგა ცეიტიშვილი  
დოკ. სერგო ვარდოსანიძე  
ასპ. გიორგი სამხარაძე

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფ.  
სვიმონ გამსახურდია



35 ათასი წლის წინ – ზედა პალეოლითის დასაწყისი. ამ ეპოქის ძეგლებია – დევის ხერელი (შარაგაულის ჩაიონი), საკავის მღვიმე (თერჯოლის რ-ნი), აგრეთვე ნასახლარები მდ. ჭრუჭულას (ჭიათურის რ-ნი) ხეობაში.

12 ათასი წლის წინ – დაიწყო შუა ქვის ხანა (მეზოლითი).

8 ათასი წლის წინ – იწყება ახალი ქვის ხანა (ნეოლითი). ადამიანმა დახვეწა ქვის დამუშავების ტექნიკა (ისწავლა ქვის გახვრეტა, გახეხვა და ა. შ.) და გახდა მწარმოებელი. ამ მოვლენას მეცნიერები "ნეოლითურ რევოლუციას" უწოდებენ. ამ ხანის ძეგლები აღმოჩენილია ქობულეთში (აჭარა), ანასეულში (გურია), კისტრიიქთან (აფხაზეთი) და სხვა ადგილებში.

6-7 ათასი წლის წინ – ადამიანმა აღმოაჩადი სპილენძი, ისწავლა მისი დამუშავება და გამოყენება. მაგრამ, სპილენძმა ვერ შეძლო ქვის, როგორც შრომისა და თავდაცვის ძირითადი საშუალების გამოღვევა. ამიტომ ამ ხანას სპილენძ-ქვის ხანა (ენეოლითი) ეწოდა.

ჩვ. წ. ოღ-მდე IV-III ათასწლეულთა მიზნა – ქართველთა წინაპარმა ტომებმა ისწავლეს ბრინჯაოს მიღება და მისგან იარაღისა და სხვა ნივთების დამზადება. დასაბამი მიეკავა პერიოდს, რომელსაც მეცნიერები "შრინჯაოს ხანას" უწოდებენ.

ჩვ. წ. ოღ-მდე IV ათასწლეულის ბოლო III ათასწლეულის 1 ნახევარი – იღრე ბრინჯაოს ხანა. ამ პერიოდს განვეკუთვნება მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელიც ამიერკავკასიასა და წინა აზიაში იყო გავრცელებული.

ჩვ. წ. ოღ-მდე III ათასწლეულის II ნახევარი – შემდეგ ათასწლეულის 1 ნახევარი – შუა ბრინჯაოს ხანა. თრიალეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა აღასტურებს. ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე ტომთა დიდი კავშირების არსებობას.



ჩვ. წ. ოღ-მდე II ათასწლეულის II ნახევარი - გვიან ბრინჯაოს ხანაშე გვიან საქართველოში ყალიბდება ორი დიდი კულტურული წრე: აღმოსავლურ ქართული და დასავლურ ქართული ანუ კოლხური. მათი ერთგვაროვნება შეტყველებს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა ურთიერთდაბლოებაზე. ამავე პერიოდში ხდება ჩაინის შეტაღლურგის, აგრეთვე, ქართველ ტომებში აღრეკლასობრივ ურთიერთობათა ჩასახვა.

ჩვ. წ. ოღ-მდე XII ს. - საქართველოს ისტორიული ტერიტორიის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში ყალბდება დიაოზის ქართული გაერთიანება.

ჩვ. წ. ოღ-მდე XII ს. - საქართველოს შავი ზღვისპირეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოყალიბდა ქართული გაერთიანება კოლხა.

ჩვ. წ. ოღ-მდე VIII ს.-ის შუახანები - დიაოზმა ველარ გაუძლო მეზობელი ქვეზების - კოლხებისა და ურარტეს შემოტევებს და არსებობა შეწყიტა.

ჩვ. წ. ოღ-მდე VIII ს.-ის 20-იანი წლები - კიმერიელი ტომების შემოსევების შედეგად დაეცა კოლხის სახელმწიფო.

ჩვ. წ. ოღ-მდე VI ს.- საქართველოს ტერიტორიაზე იწყება ბერძნული ახალშენების დაარსება. კერძოდ, ფაზისი (ქ. ფოთის მახლობლად), გივნისი (ქ. ოჩამჩირე), დიოსკურია (ქ. სოხუმის მახლობლად), პიტიუნტი (ბიჭვინთა).

ჩვ. წ. ოღ-მდე VII-VI საუკუნეების მიზნა - დასავლეთს საქართველოში ჩამოყალიბდა კოლხეთის (ეგრისის) სამეფო.

ჩვ. წ. ოღ-მდე 401 წ. - კოლხეთი ნახა და ოღრერა ბერძენმა მწერალმა ქსენოფონტემ.

ჩვ. წ. ოღ-მდე IV-III სს. მიზნა - შეიქმნა ქართლის (იბერიის) სამეფო. მისი პირველი მეფე იყო ფარნავაზი. იბერიის

ჩვ. წ. აღ-მდე 112–63 წწ. — მეფობდა პონტიოს მეფე მითრიდატე  
VI.

ჩვ. წ. აღ-მდე 65 წ. — საქართველოში ილაშქრა რომაელმა სარ-  
დალმა გნეუს პომპეუსმა. საქართველოში დამყარდა რო-  
მაელთა გაელენა. გნეუს პომპეუსის ლაშქრობის შესახებ  
საინტერესო ცნობებს გვაწვდის რომაელი ისტორიკოსები  
ლიონ კასიოსი და პიონერი.

35 წ. — რომის იმპერატორ ტიბერიუსის თხოვნით სომხეთში  
(რომის იმპერიისა და პართიის სადაც ტერიტორია) ქარ-  
თლის ჭარი შევიდა. ტიბერიუსმა სომხეთის მეფედ ქართ-  
ველი უფლისწული — მითრიდატე დანიშნა.

63 წ. — რომსა და პართიას შორის დაიდო ხელშეკრულება.  
სომხეთი ალიარებულ იქნა ორმაგი დაქვემდებარების  
ტერიტორიად (თანამედროვე ტერმინოლოგიით —  
კონდომინიუმი). სომხეთში გამეფულენ პართიის სამეფო  
შვარის — არშაკიდების წარმომადგენლები (რომის იმპერი-  
ისადმი ესალობის პირობით). შეწყდა სომხეთში ქართ-  
ველთა მეფობა.

69 წ. — ანიკეტის აჯანყება.

128 წ. — რომის იმპერატორმა ადრიანემ მცირე აზიაში მოგ-  
ზაურობისას, სხვა ლმოსავლელ მმართველებთან ერთად,  
თავისთან მიიწვია ქართლის მეფე ფარსმან II, რომელმაც  
არ მიიღო მიწვევა, როგორც ქვეშეკრდომმა.

138-161 წწ. — რომის იმპერატორ ანტონინე პიუსის შეობის პერი-  
ოდი. ამ დროს გაუმჯობესდა ურთიერთობა რომსა და  
ქართლის სამეფოს შორის. ანტონინე პიუსის მიწვევით  
ფარსმან II ოჯახის წევრთა და დიდობულთა თანხლებით  
ეწვია რომს, სადაც დიდი პატივით იქნა მიღებული. რომსა

და ქართლს შორის ფაქტობრივად, თანასწორუფლებიანი  
ურთიერთობა დამყრდა.



III-IV ს. – თანდათანობით იყიდებს ფეხს ფეოდალური ურთიერ-  
თობანი. იწყება აღრეფეოდალური ხანა.

დაახლოებით 337 წ. – ქართლში ქრისტიანობა გამოცხადდა ოფი-  
ციალურ რელიგიად. ეგრისს შიც. ქრისტიანობის ოფი-  
ციალურ რელიგიად გამოცხადება დაახლოებით ამ პერი-  
ოდშია საკარაულო (შესაძლებელია უფრო აღრეც).

325 წ. ქ. ნიკეაში გაიმართა I მსოფლიო საეკლესიო კრება, რო-  
მელსაც ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი – სტრა-  
ტიოფილე.

V ს.-ის II ნახევარი – ქართლში მეფობს ვახტანგ გორგასალი  
(გარდა-იუვალა დაახლოებით 502 წ.).

468-472 წწ. – ქართლის ეკლესიამ მოიპოვა თვითმწყმსობის  
(ავტოკეფალია) უფლება. ამიერიდან ეკლესიას სათავეში  
ჩაუდგა კათალიკოზი.

482 წ. – ვახტანგ გორგასალმა მრავლევინა ვარსკენ პიტიაში, რო-  
მელიც ქართლში პროირანული ორიენტაციის ერთ-ერთი  
ლიდერი იყო.

482-483-484 წწ. – აჯანყება ირანელთა ბატონობის წინააღმდეგ  
ქართლში.

506 წ. – დვინის საეკლესიო კრება, რომელზეც ირანის შაპის  
კავალის ბრძანებით ქართლის, სომხეთის და აღბანეთის  
ეკლესიის მეთაურებმა მონოფოზიტობას მიანიჭეს უპი-  
რატესობა.

523 წ. – ირანელთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყდა ქართლის  
მეფე გურგენი, მაგრამ დამარცხდა. მან დასავლეთ  
საქართველოს (საბოლოოდ კი – ბიზანტიას) შეატარა

თავი. ირანელებმა ქართლში გააუქმეს მეფობა და დასკვა



თავისი მოხელე მარზპანი.

532 წ. – დაიდო "საუკუნო ზავი" ირანისა და ბიზანტიის შორის. რომლის შედეგადაც ქართლი და ეგრისი აღიარებულ იქნა შესაბამისად ირანისა და ბიზანტიის გავლენის სფეროებად.

542-562 წწ. – "დიდი ომიანჩხა" ეგრისში, რომელიც ეგრისიდან ირანელთა განდევნით დასრულდა.

550 წ. – აბაზგები აჯანყდნენ ბიზანტიელთა წინააღმდეგ, მაგრამ მარცხი განიცადეს.

554 წ. – ბიზანტიელმა სარდლებმა მოკლეს ეგრისის შეფე გუბაზი.

555 წ. – ბიზანტიელებმა ჩაასჭეს მისიმიელთა აჯანყება.

VI ს-ის 70-იანი წლები – საერთო ანტიირანული აჯანყების დაწყება. ერისმთავრობის დაწყესება ქართლში. პირველ ერისმთავრად განაჩინეს გუარამი.

591 წ. ერისმთავარ სტეფანოზ I-ის დროს ქართლიდან საბოლოოდ იქნენ განდევნილნი ირანელები.

608 წ. – დიდი საეკლესიო განხეთქილება ამიერკავკასიაში.

627 წ. – პერაკლე კეისრისა და ჭიბლუ ხაკანის ლაშქრობა ქართლში.

628 წ. – ხაზართა მიერ ალებულ იქნა თბილისი.

654 წ. – არაბ სარდალ პაპიბ-იბნ მასლამის ლაშქრობა ქართლში. ერისმთავარმა სტეფანოზმა შეაფასა რა ძალთა უთანაბრობა, ზავი შესთავაზა არაბებს. პაპიბ-იბნ-მასლამმა ქართლს მისცა "დაცვის სიგელი", რომელშიც ჩამოთვლილი იყო ქართლის არაბებისადმი მორჩილების პირობები და არაბთა ვალდებულებანი. დაცვის სიგელის ტექსტი

697 წ. – ეგრისის მმართველი სერგი ბარნუკის ძე, რომელიც  
ბიზანტიულთა მორჩილი იყო, აუგანუდა ბიზანტიულებს და  
ეგრისი არაბებს დაუმორჩილა.

735 წ. – საქართველოს შემოქანა არაბი სარდალი მურვან-იბნ-მუ-  
ჰამედი, რომელმაც დალაშქრა, როგორც აღმოსავლეთი,  
ისე დასავლეთ საქართველო. აწამა არგვეთის მთავრები  
დავით და კონსტანტინე მხეიძენი.

VIII ს-ის 80-იანი წლები-შეიქმნა კახეთის სამთავრო, რომლის  
სათავეშიც ქორეპისკოპოსი იდგა.

VIII ს-ის დასასრული – აფხაზეთის მთავარმა ლეონ II-მ გააერ-  
თიანა დასავლეთ საქართველო და თავი მეფედ გამოაცხადა.  
შეიქმნა "აფხაზთა სამეფო", რომელიც მთელ დასავლეთ  
საქართველოს მრიცავდა. მისი დედაქალაქი იყო ქუთაისი.

IX ს-ის დასაწყისი – აშოტ ბაგრატიონმა (გარდაიცვალა 826 წ.)  
ჩამოაყალიბა ტაო-კლარჯეთის სამთავრო დედაქალაქით  
არტანუჯში.

IX ს-ის I ნახევარი – თბილისის სამირო თანდათან გამოეყო  
არაბთა სახალიფოს და დამოუკიდებელი უერთდალურ  
ერთეულად იქცა.

853 წ. 5 აგვისტო – საქართველოში ილაშქრა არაბმა სარდალმა  
ბულა თურქმა, რომელმაც დაამარცხა თბილისის  
განლგომილი ამირა – საპაკ ბენ ისმაილი და სიკვდილით  
დასაჭა. ამავე ლაშქრობისას არაბთა სარდალმა ზირაქმა  
დაატაცვა ქართველი დიდაზნაური კონსტანტი კახი და  
მისი ძე – თარხუჭი. კონსტანტი კახი არაბებმა წამებით  
მოქლეს.

IX ს-ის დასასრული (დაახლოებით 888 წ)-შოტ ბაგრატიონზე  
შთამომავალშია ოდარნასე ბაგრატიონმა მიიღო ტიტული კუთხეთისა  
"შეფე ქართველთა". ტაო-კლარჯეთის სამთავროს კი ეწოდა  
"ქართველთა სამეფო".

914 წ. - საქართველოში ლაშქრობს არაბი სარდალი აბულ-ჯასიმი,  
რომელმაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყნა ქვეყნას, მა-  
გრამ ვერ შეძლო არაბთა ბატონობის შესუსტების  
პროცესის შეჩერება. საქართველომ მოშორა არაბთა  
ულელი.

X ს-ის II ნახვარი-ტაოკულარჯეთში მეფობს დავით III კურა-  
პალატი, საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის  
მეთაური (გარდ. 1001 წ.) 979 წ.-ქართველი სარდლების  
თორნიკე ერისთავისა და ჭოშიკის ლაშქრობა ბიზანტიაში  
ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩასახშობა.

975 წ. - დავით III კურაპალატი შევიდა შიდა ქართლში და  
ადგილობრივ აზნაურებს თავისი შეილობილის, ბაგრატის  
მორჩილება უბრძანა.

978 წ. - ბაგრატი ქუთაისში აკურთხეს დასავლეთ საქართველოს  
(აფხაზთა) მეფედ.

987 წ. - დავით III კურაპალატმა დახმარება გაუწია ბიზანტიის  
იმპერატორ ბასილის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა ფო-  
კას. მაგრამ ბარდა ფოკა 989 წ. 13 აპრილს აბიდოსთან  
ბრძოლაში დაიღუპა. აჯანყება დამარცხდა, ხოლო დავით  
III ბიზანტიის სამპერატორო კარის რისხვა დაიმსახურა.

975-1014 წ. - გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბა-  
გრატ III.

1014 წ. - გარდაიცვალა ბაგრატ III, რომელიც დაკრძალულ იქნა  
ბედის ტაძარში.

1014-1027 წწ. - გიორგი I მეფობა.

- 1021-1023 წწ. – საქართველო-ბიზანტიის ოში, რომელიც ბიზანტიური ტიის გამარჯვებით დასრულდა.
- 1027-1072 წწ. – ბაგრატ IV მეფობა.
- 1032 წ. – ქლდეკარის ერისთავმა ლიპარიტ ბალვაშმა შეიძყრო თბილისის ამირა ჭავარი.
- 1037 წ. – ბაგრატ IV ალყა შემოარტყა თბილის. ალყა 2 წელი-წადს გაგრძელდა. 1039 წ. მას შემდევ ჩატ მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ ამირას დასახმარებლად მაპმაღიანთა ლაშქარი მიერუბოდა, ბაგრატმა მოჰსნა ალყა.
- 1058 წ. – სულა კალმახელმა და სხვა მესხმა დილებულებში შეიძყრეს და მეფეს მიპრეარეს ლიპარიტ ბალვაში და მისი ვაჟი ივანე, ლიპარიტი ალკეცილ იქნა ბერად და გაძვებულ იქნა საქართველოდან.
- 1064 წ. – საქართველოს პირველად შემოესივნენ თურქ-სელჩუკები, რომლებმაც ააოხრეს ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი.
- 1068 წ. – თურქ-სელჩუკები კახეთ-პერეთის მხრიდან მეორედ შემოვიდნენ საქართველოში და სასტიკად დაარბიეს, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველო.
- 1071 წ. – თურქ-სელჩუკებმა მანასკერტთან ბრძოლაში დაამარცხეს ბიზანტიელთა ჭარი და აიშულეს იმპერატორი, დაეთმო აღმოსავლეთ პროვინციები.
- 1072-1089 წ. – გიორგი II-ის მეფობა.
- 1080 წლიდან – "დიდი თურქობა".
- 1089-1125 წ. – დავით აღმაშენებლის მეფობა.
- 1097 წ. – დავითმა ხარკის გადახდა შეუწყიტა თურქ-სელჩუკებს.
- 1101-1103 წ. – დავითმა შემოიტოთა კახეთ-პერეთი.



- 1103 წ. – მოწულ იქნა რუსი-ურბნისის საეკლესიო კრება. კრების მიზანი შედეგად ექლესიში განმტკიცდა მეფის პოზიციების კრებაზე მიმღებ სახით “ძეგლისწერა რუსი-ურბნისის კრებისამ”.
- 1105 წ. – ერწულთან ბრძოლა, რომლის შედეგადაც დავითმა შეძლო კახეთ-პერეთის შემომტკიცება.
- 1106 წ. – გელათში დაიწყო სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა.
- 1110-1118 წ. – დავით IV მაპმალიანთაგან გაანთავისუფლა სამშეილდე, ლორე, ჩუსთავი, გიში და სხვ.
- 1118-1120 წ. – დავით IV ჩრდილო კავკასიოდან გადმოიყარა 40 000 ყვეჩალი მეომარი ოჯახებით ("დედაწულითა მათითა") და შექმნა მათგან მუდმივი ჯარი.
- 1121 წ. 12 აგვისტო-დიდგორის ცელზე მოხდა დიდი ბრძოლა დავით ალმაშენებლის ჯარსა და მაპმალიანთა კოალიციურ ლაშქარს შორის, მაპმალიანთა სარდალი ამ ბრძოლაში იყო ბალდადის გამგებელი ნეგმ ედ-დინ ილაზი. ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა.
- 1122 წ. – დავით IV მაპმალიანთა ბატონობისაგან გაანთავისუფლა თბილისი და დედაქალაქი ქუთაისიდან. კვლავ თბილისში გადმოიტანა.
- 1123 წ. – დავით IV გაანთავისუფლა დმანისი.
- 1124 წ. – დავით IV თურქეთაგან გაანთავისუფლა სომხეთის დედაქალაქი ანისი.
- 1125 წ. 24 იანვარი-გარდაიცვალა დავით IV ალმაშენებელი. იყო დაიკრძალა გელათის მონასტერში. მის საფლავის ჭვაზე ასეთი წარწერაა “ეს არს განსასვენებელი ჩემი შეუწითი უკუნისამდე რამეთუ აქა დავემკვიდრო მე”.

1125-1156 წ. - დემეტრე I მეფობა.

1138 წ. - დემეტრე I-მა აიღო ქ. განჯა (იგივე განჩა), თუმცა ურ  
შეძლო მისი მტკიცედ დამორჩილება.

1155 წ. - დემეტრე I -ის უფროსი ვაჟის - დავით V, ხანმოქლე  
მეფობა. (დემეტრე ბერად ოლკვიცეს, დამიანეს სახელით.  
მის კალამს ეკუთვნის საგალობელი "შენ ხარ ვენახი").

1156-1184 წ. - გიორგი III -ის მეფობა.

1161 წ. - გიორგი III დალაშქრა უდიდესი შემოიმტკიცა ანისი.

1162 წ. - გიორგი III დალაშქრა ქ. დვინი.

1177 წ. - აჯანყება, რომელსაც სათავში ედგნენ გიორგი III-ის  
უფროსი მმის, დავითის ვაჟი დემეტრე (დემნა), რომელიც  
თავს ტახტის კანონიერ შემკვიდრედ თვლიდა, და მისი  
სიმამრი, ამირსპასალარი იოანე ორბელი. აჯანყება სასტი-  
კად იქნა ჩატაბილი.

1178 წ. - გიორგი III-ემ თავისი ასული, თამარი, აკურთხა თანამო-  
საყდრედ.

1184 წ. - გარდაიცვალა გიორგი III.

1184-1213 წ.՝ თამარის მეფობა.

1185 წ. - თამარს მეულედ მოჰკვარეს ვლადიმერ-სუზალის  
მთავრის - ანდრია ბოგოლიოუბსკის ვაჟი-იური (გიორგი),  
რომელიც ბიძამისი, ვსევოლოდ დიდბუდის მიერ დევნილი,  
ყვეჩალეთს იყო შეხიზნული.

1187 წ. - თამარი გაშორდა იური (გიორგი) ბოგოლიოუბსკის. იგი  
საქართველოდან გააძევეს.

1189 წ. - თამარშა ქმრიად შეირთო დავით სოსლანი.

- 1191 წ. — დიდგვაროვან ფეოდალთა ნაწილმა მოაწყო ამბოხება და  
შესაჩი დაუჭირა გიორგი რუსის საქართველოში დაბრუნებული  
ბასა და გამეფებას. აჯანყება ჩატშობილ იქნა მეფის ერთ-  
გული ძალების მიერ.
- 1195 წ. — ქართველთა ლაშქარმა დაეიც სოსლანის სარდლობით  
შამქორის მიღამებში დაამარცხა მაპმალიანთა მრავალ-  
რიცხოვანი ურდო, რომელსაც ათაბაქი აბუბექრი სარდ-  
ლობდა.
- 1202 წ. — ქართველებმა ბასინის ბრძოლაში სასტიკი დამარცხება  
აგემეს რუმის სულთნის რუქნ აღ-დინის ლაშქარს.
- 1204 წ. — შევი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე შეიქმნა ეწ.  
"ტრაპიზონის იმპერია", რომელიც ხაქართველოს სამეფო  
კარზე იყო დამოკიდებული.
- 1210 წ. — ქართველთა ლაშქარმა, რომლებსაც ზაქარია და ივანე  
მხარგრძელები მეთაურობდნენ, ილაშქრა ჩრდილოეთ  
ირანში.
- 1213-1222 წ. — გიორგი IV ლაშა (ლაშა გიორგი) მეფობა.
- 1220 წ. — საქართველოში პირველად გამოჩნდნენ მონღოლთა რაზ-  
მები ჯებესა და სუბუდის მეთაურობით, რომლებმაც  
ჩატარეს ეწ. "დაზვერვითი ლაშქრობა", რაც დამახასი-  
ათებელი იყო მათი სამხედრო სტრატეგიისათვის.
- 1222-1245 წ. — რუსულანის მეფობია.
- 1225-1231 წ. — საქართველო რამდენჯერმე დალაშქრა ჭალალ-ედ-  
ღინმა.
- 1225 წ. — ნიკებერი — ჭალალ-ედ-ღინმა გარნისთან (სომხეთი)  
დაამარცხა ქართველთა ლაშქარი.



- 1226 წ. - გალალ-ედ-დინშა აიღო თბილისი. სამეფო კარმა თავი უკავებდა დასავლეთ საქართველოს შეაფარა. იმისათვის, რომ გალალ-ედ-დინისათვის თბილისში გამაგრების საშუალება მოქსპორ ქალაქი გადაწყვს.
- 1230 წ. - რუსუდანშა, სამეფო დარბაზის თანხმობით, თანამოსაყ-დრედ აკურთხებინა თავისი 5 წლის ვაჟი დავითი. შემდგომში დავით ნარინად წოდებული.
- 1231 წ. - გალალ-ედ-დინი მოკლულ იქნა.
- 1235 წ. - საქართველოს შემოესია მონცულთა მრავალრიცხოვანი ლაშ-ქარი, რომლის მიზანი იყო ჭვეჭნის დაპყრობა. სამეფო კარმა თავი კვლავ დასავლეთ საქართველოს შეაფარა.
- 1242 წ. - მონლოლებმა მოახერხეს აღმოსავლეთ საქართველოს დამორჩილება. მათ საქართველოს დაუწესეს ხარები და ქარის გამოყვანა. გარდა ამისა, ყოველი ახალი მეფე ყენს უნდა დაემტკიცებინა.
- 1245 წ.- მონლოლებმა საქართველო, მონლოლური წესის თანახმად, დუმნებად (1 დუმანი-10000 კაცი) დაყვეს. მთელი საქართ-ველო დაიყო 8 დუმნად. დუმნების სათავეში ქართველი დიდგვაროვანი დააყნეს.
- 1245 წ.- ქართველ დიდგვაროვანთა კოტტასთავის შეთქმულება.
- 1247 წ.- მონლოლთა დიდმა ყენმა გუმუქშა საქართველოს მეფედ დამტკიცა ტახტის ორი მაძიებელი - დავით ლაშა გიორგის ძე და დავით რუსუდანის ძე (მათ ეწოდათ, შესაბამისად, დავით ულუ (უფროსი) და დავით ნარინი (უმცროსი)).
- 1254-1256 წ. - მონლოლებმა მთელი საყაენო და, მათ შორის, საქართველოც აღწერეს. საქართველოს დააკისრეს 90 000 მეომრის გამოყვანა და მთელი რიგი ახალი ეკონომიკური ვალდებულებანი.



- 1256 წ. – ირანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ილხანთა შემცირებული სახელმწიფო, რომლის გავლენის სფეროშიც შევიდა საქართველო.
- 1259 წ. – საქართველოში იფეთქა ანტიმონლოლურმა აჭანჭებამ, რომელსაც დავით ნარინი მეთაურობდა. თავდაპირველად აჭანჭებულებმა წარმატება მოიპოვეს მაგრამ, მას შემდეგ, რაც ილხანთა ყაენმა ჰულაგუშ დიდადი ჯარი გამოიწვინა აჭანჭების ჩასახშობად, დავით ნარინმა შეაფასა ძალთა უთანაბრობა და კრასავლეთ საქართველოში გადავიდა.
- 1260 წ. – საქართველოში იფეთქა ახალმა აჭანჭებამ დავით ულუს მეთაურობით. აჭანჭება დამარცხდა, რაშიც დიდი როლი შეასრულა ქართველ დიდგვაროვანთა ღალატშა.
- 1266 წ. – მონღოლებმა უშუალოდ დაიქვემდებარეს სამცხე ხასინ-ჯუს პირობით.
- 1270 წ. – გარდაიცვალა დავით ულუ.
- 1270 წ. – მონღოლებმა საქართველოს მეფედ დაამტკიცეს დავით ულუს ძე დემეტრე II (1270-1289 წწ.). მცირეწლოვნების გამო (იგი 11 წლის იყო) მას მეურვედ დაუნიშნეს მონღოლებთან დაახლოებული პირი სადუნ მანკაბერდელი.
- 1288 წ. – აღლუნ ყაენის წინააღმდეგ მოეწყო შეთქმულება, რომელიც გამოაშეარავებულ იქნა. შეთქმულების მეთაურობაში ბრალი დაედო ყაენის პირველ ნოინს – ბულას, რომელიც მეგობრობდა დემეტრესთან.
- 1289 წ. 12 მარტი – მოვაკანში დემეტრე II, ბულასთან ურთიერთობის გამო, მონღოლებმა სიკედილით დასაჯეს.
- 1314-1346 წწ. – დემეტრე II ძის გიორგი V (ბრწყინვალე) მეფობა. იმ დროს (XIV ს-ის 30-იან წლებში) მოხერხდა მონღოლთა ბატონობის ულლის გადაგდება.

1346-1360 დავით IX მეფობა.

1360-1393 წწ. – ბაგრატ V-ის მეფობა.

1386-1403 წწ. – მონლოლთა ახალმა მბრძანებელმა თემურ-ლენგმა რვაჯერ დალაშქრა საქართველო.

1403 წ. – თემურ-ლენგმა შეშუალა რმი საქართველოსათან და ზავი დადო მეფე გიორგი VII-თან (1393-1407 წწ.).

1412-1442 წწ. – ალექსანდრე I-ის ("დიდი") მეფობის პერიოდი. ამ დროს განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ქვეყნის მძიმე მდგომარეობის (კონიმიკური, კულტურული და ა. შ.) გამოსასწორებლად. მაგრამ ვითარების საფუძვლიანი შეცვლა ვრც მოხერხდა.

1442-1446 წწ. – ვახტანგ IV მეფობა:

1446-1466 წწ. – გიორგი VIII მეფობა.

1463 წ. – ბრძოლა ჩიხორთან, სადაც იმერეთის ერისთავმა ბაგრატმა დამარცხა გიორგი VIII.

1465 წ. – სამცხის მთავარმა ჭარეულარე ჭაჭულმა, ფარავნის ტბასთან დაამარცხა და ლაატყვევა გიორგი VIII, რის შემდეგაც სამცხე საბოლოოდ გამოყეო საქართველოს. ჩამოყალიბდა ქართლის, ქახეთისა და იმერეთის სამეფოებიც.

1466-1476 წწ. – გიორგი VIII მეფობის პერიოდი ქახეთში.

1479-1505 წწ. – კონსტანტინე დემეტრის ძის მეფობა ქართლში.

1490 წ. – ქართლის სამეფო კარმა ცნო საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად.

1453 წ. 29 მაისი – ოსმალებმა აიღეს ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი-კონსტანტინეპოლი. ბიზანტიის იმპერია დაუცა.

1477 წ. – უზუნ-პასანის ლაშქრობა საქართველოში.

1486-88 წწ. – იაკუბ ყენის ლაშქრობანი საქართველოში.

1483 წ. – გაიგზავნა პირველი ქართული ელჩიობა რუსეთში. ელ-  
ჩიობა გაგზავნილ იქნა კახეთის მეფე ალექსანდრე გორგას  
ძის (1476--1511 წწ) მიერ, რომლის წერილიც ელჩიობამ  
გადასცა მოსკოვის დიდ მთავარს – ივანე III-ს.

XVI ს-ის დასაწყისი – ირანში, თეთრბატქიანთა თურქმანული  
სახელმწიფოს ტერიტორიაზე აღმოცენდა ყაზილბაშთა  
სახელმწიფოება, რომლის სათავეშიც სეფიანთა დროს ტირ  
იღვა. პირველი სეფიანი შაპი იყო იმაიღი.

1501 წ. – ისმაილი თავრიზში შევიდა და თავი შაპინ შაპად გა-  
მოაცხადა, მან არაერთხელ დალაშქრა საქართველო.

1511-1513 წ. – “ავგიორგის” მეფობა კახეთში.

1518 წ. – შაპ-ისმაილმა საქართველოში გამოგზავნა ერევნის  
შმართველი დივ-სულთან რუმლუ. აღმოსავლეთ საქართ-  
ველოს მეფეები და სამცხის მთავარი სეფიანთა გასალები  
გახდნენ. თუმცა საქართველოში არ წყდებოდა ბრძოლა  
თავისუფლებისათვის.

1521 წ. – კახეთის მეფე ლევანმა (1518-1574) სცადა სეფიანთა  
გასალობისაგან განთავისუფლება. მაგრამ ვერ შესძლო.

1524 წ. – შაპ-ისმაილი გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა მისი 10 წლის  
ვაჟი-თამაზი (შაპ-თამაზ I), რომელიც 1576 წლამდე მე-  
ფობდა. ირანში დაიწყო შინაგანი არეულობა. ქართლის  
მეფე დავით X-მ ისარგებლა შექმნილი გარემოებით და  
შაპის ვასალობისაგან განთავისუფლდა.

1527-1556 წწ. – ქართლში ლუარსაბ I-ის (დავით X-ის ვაჟი) მე-  
ფობის პერიოდი (1524 წ. დავით X იძულებული გახდა.  
ტახტიდან გადამდგარიყო და აღკვეულიყო ბერად).

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკი



- 1514 წ. – ახლო აღმოსავლეთში ბატონობის გამო ირანის სეფიანთა სახელმწიფოსა და ოსმალეთს შორის დაიწყო ომი. რო-პირველი მელიც დროგამოშვებით 1555 წლამდე გრძელდებოდა.
- 1555 წ. – ქ. ამასიაში დაიდო ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება (ამასის ზავი), რომლის ძალითაც ოსმალეთს მიეკუთვნა იმერეთის სამეფო, გურიის სამთავრო და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი (ტაო, შავშეთი, კლარჯეთი), ირანს კი-ქართლისა და კახეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი.
- 1556 წ. – ქართლის საბოლოოდ დასამორჩილებლად შავ-თამაზშა დიდი ლაშქარი. გამოგზავნა ყარაბაღის ბეგლარბეგი შავურდი სულთანი. სოფელ გარისთან მოხდა ბრძოლა, რომელიც ქართველთა გამარჯვებით დასრულდა, თუმცა, ბრძოლაში მიღებული სასიკვდილო ჭრილობისაგან გარდაიცვალა ლუარსაბ I.
- 1556-1600 წწ. – ქართლში ლუარსაბ I-ის ვაჟის, სიმონ I-ის მეფობა.
- 1569 წ. – ფარცხისთან ბრძოლის დროს, მოლალატე აზნაურ კახა-ბერ ყორდნაშვილის საშუალებით, ირანელებმა შეძლეს სიმონ I-ის დატყვევება.
- 1569-1578 წწ. – სიმონ I-ის ტყვეობა ირანში, ალამუთის ციხეში. ამ პერიოდში ქართლს მისი გამაპმადიანებული ძმა დავითი (დაუთ-ხანი) განაგებდა.
- 1578 წ. – ოსმალეთმა დაარღვია ამასის ზავი და დაიწყო ბრძოლა მთელს ქავეისიასა და კასპიის ზღვის სანაპიროზე გაბატონებისათვის. მის ამ განზრავის ხელს უწყობდა ის გარე-მოებაც, რომ შავ-თამაზის გარდაცვალების (1576 წ.) შემდგომ ტახტზე გაცილებით სუსტი მმართველი – ხოდა-ბენდე (1577-1587 წწ) ავიდა.



- 1578 წ. – შაპის კარშა გადაწყვიტა ტყვეობილინ გავთავისუფლებულის მიზანით ნათ და ქართლის ტახტზე დაბრუნებინათ სიმონ I, რათა გამოეყენებინათ იგი ოსმალთა წინააღმდეგ.
- 1582 წ. – სიმონ I -მა მუხრანთან გაანადგურა ოსმალთა 20-ათასიანი ჯარი.
- 1587 წ. 28 სექტემბერი – რუსეთსა და კახეთს შორის გაფორმდა პირველი ხელშეკრულება – "ფიცის წიგნი". კახეთი რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა.
- 1589 წ. – მეფე ალექსანდრე II (1574-1605 წწ.), მიიღო რუსეთის მეფის "წყალობის სიგელი", რომლითაც დასტურდებოდა "ფიცის წიგნის" პირობები. დაიწყო ელჩების გაცვლა კახეთის სამეფოსა და რუსეთის შორის.
- 1590 წ. – ირან-ოსმალეთის ზავით, ოსმალეთის გავლენის სფეროდ იქნა აღიარებული მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია და ირანის აზერბაიჯანი. ოსმალთა ხელში გადავიდა სამცხე, აჭარა, ჭანეთი, სადაც ოსმალური მართვა-გამგეობა იქნა შემოლებული.
- 1599 წ. – ოსმალებმა დაატყვევეს სიმონ I.
- 1600 წ. 21 ივნისი – სიმონ I სტამბოლში ჩიაყვანეს და მოათავსეს იედიფულების ციხეში, სადაც სანგრძლივი ტყვეობის შემდეგ გარდაიცვალა (1611 წ.).
- 1605 წ. 12 მარტი – ძეგამის თათბირის დროს, ალექსანდრე II-ის ვაჟმა, ირანის შაპის, კარზე აღზრდილმა გამაპმაღიანებულმა კონსტანტინებმ და მისმა თანმხლებმა ყაზილბაშებმა ამოხოცეს ალექსანდრე II, მისი ვაჟი გიორგი და სხვა კახელი დიდებულები, რომლებიც რუსეთშე ორიენტაციის მომხრენი იყვნენ.
- 1605-1606 წწ. – კახეთს განავებს გამაპმაღიანებული კონსტანტინე.



1606 წ. – შაპ-აბას I -მა კახეთის მეფედ დამტკიცა ალექსანდრე კუთაველი  
II-ის შვილიშვილი 16 წლის თეიმურაზ I.

1614-1617 წწ. – შაპ-აბაზ I-მა ოთხჯერ დალაშქრა კახეთი.

1606-1614 წწ. – ქართლში ლუარსაბ II-ის მეფობის პერიოდი.

1609 წ. – ქართველთა გარმა გიორგი სააკაძის სარდლობით, ტა-  
შისკართან გაანალგურა ოსმალთში მრავალათასიანი ლაშქარი.

1611-1657 წწ. – სამეგრელოს მთავარი ლევანი ლაშქარი.

1624 წ. 12 სექტემბერი – შაპ-აბას I-ის ბრძანებით სასტიკად  
აწამეს და მოკლეს კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის დედა  
ქიოვანი, რომელმაც უარი განაცხადა გამაპმადიანებაზე.

1625 წ. 25 მარტი – მარტოფის კულტე ქართველებმა გაანალგურეს  
ირანელთა მრავალრიცხვანი ლაშქარი.

1625 წ. 1 ივლისი – მარაბდის კულტე ყაზილბაშთა გარმა, მარ-  
თალია დაამარცხა ქართველთა ლაშქარი, მაგრამ თვითონაც  
უდიდესი ზარალი ნახა.

1626 წ. – თეიმურაზ I-ის მომხრეებმა ბაზალეთის ტბასთან  
დაამარცხეს გიორგი სააკაძე, რომელიც იძულებული გახდა  
ოსმალეთს გადახვდილიყო, საღაც 1629 წ. თავი მოკვეთეს  
ოსმალეთის დიდებულის ხუსრევ ფაშას ბრძანებით.

1629 წ. – გარდაიცვალა შაპ-აბას I.

1632 წ. – ირანის ახალმა შაპმა სეფი I-მა ქართლ-კახეთის მმართ-  
ვლად სიმონ I-ის ძმისწული, გამაპმადიანებული ხოსრო-  
მირზა დანიშნა და უწოდა როსტომ ხინი.

1639 წ. – თეიმურაზ I-მა განაახლა "ფიცის წიგნი".

1648 წ. – როსტომ ხინმა კახეთიდან საბოლოოდ გააქცა თეიმუ-  
რაზი.



1656 წ. – კახეთი როსტომ ხანს ჩამოართვეს და განჯის ხანს დამორჩილეს. კახეთში დაიწყო თურქმანული ტოშების ჩამოაღმართვა სახლება.

1660 წ. – კახეთში მომხდარი დიდი აჯანჯების შედეგად შეკუნა (კახეთი) გაიწმინდა ჩამოსახლებული თურქმანებისაგან, თუმცა ირანის ულლის გადაგდება ვერ მოხერხდა. კახეთი საგამგებლოდ კვლავ ქართლის ახალ მმართველს ვახტანგ V-ს (შავანავაზი) გადაეცა.

1658-1675 წ. – შავანავაზის მმართველობის წლები.

1675-1688 1703-1711 წწ. – გიორგი XI მეფობა ქართლში.

1703 წ. – შაპმა ქართლის მმართველად (ჭანიშინად) დანიშნა ვახტანგ VI

1688-1703 წწ. – ერეკლე I ნაზარალიხანი.

1707-1711 წწ. – ვახტანგ VI-მ ორჯერ დალაშქრა ისეთი და შემოიტკიცა ეს მხარე.

1709 წ. – ვახტანგ VI-მ თბილისში დაარსა პირველი სტამბა.

1712 წ. – თბილისის სტამბაში პირველად დაიბეჭდა "ვეფხისტყაოსანი".

1712 წ. – ვახტანგი შაპის კარზე გამოიძახეს, რათა დაემტკიცებინათ მეფედ თავისი უფროსი ძმის, ავლანელებთან ბრძოლაში დალუპული ქაიხოსროს ნაცვლად.

1713-1715 წწ. – სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა ევროპაში, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა.

1719 წ. – ქართლის მეფედ დამტკიცებული ვახტანგ VI საქართველოში დაბრუნდა. იგი იძულებული იყო ფორმალურად მიეღო მაპმატიანობა.



- 1720 წ. – სამხედრო-პოლიტიკური კავშირი დაშარდა ვახტანგ VI სა და რუსეთის მეფე პეტრე I-ს შორის.
- 1721 წ. – ირანის შაპშა პუსეინმა ვახტანგ VI სამხრეთ აზერბაი-ჯანის სპასალარად დანიშნა.
- 1722 წ. – ჩაიშალა პეტრე I-ის დარუბანდის ფუძედიცია. ვახტანგ VI, როგორც პეტრე I-ის მოქავშირემ, შაპის რისხვა დაიმ-სახურა, რომელმაც ქართლი კახეთის გამაპმადიანებულ მე-ფეს – კონსტანტინეს გადასცა.
- 1723 წ. – კონსტანტინე კახთა მეფეშ აიღო თბილისი. ვახტანგ VI იძულებული გახდა ცხდნვალში გახიზნულიყო.
- 1723 წ. – ქართლი დაიპყრეს ოსმალებმა.
- 1724 წ. – ვახტანგ VI მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთის გაემგზავრა. 1723-1735 წწ. – საქართველოში ბატონობდნენ თამალები, ამიტომ ისტორიკოსები ამ პერიოდს "ოსმალობას" უწოდებენ.
- 1735 წ. – ქართლში "ოსმალობა" "ყიზილბაშობამ" შეცვალა. ირანე-ლებმა მოახერხეს ოსმალთა განდევნა ქართლიდან და თავისი გავლენის აღდგენა.
- 1744 წ. – ირანის შაპი ნადირი იძულებული გახდა კონსტანტინე მეფის უმცროსი ძმის თეიმურაზისათვის (თეიმურაზ II) ნება დაერთო ქრისტიანული წესით ყოფილიყო კურთხეული ქარ-თლის მეფედ, ხოლო მისი ვაჟი ერეკლე (ერეკლე II) კახეთის მეფედ დაამტკიცა.
- 1745 წ. 1 ოქტომბერი – თეიმურაზ II სკუტიცხოველში აკურთხეს მეფედ.
- 1751-1752 წწ. – ქართველთა მიერ დამარცხებული იქნა თავრიზის მფლობელი აზატ-ხანი, რომელიც შაპის ტახტზე აცხადებდა პრეტენზიას. აგრეთვე, შაქი-შარვანის ხანი აჭიშალაბი. (1760

1752 წ. – იმერეთში გამეფუდა სოლომონ I.

1754-1755 წწ. – ქართლ-კახეთში ორჯერ ილაშქრა ხუნძაბის (ავარიის) მფლობელმა ნურსან-ბეგმა. იგი ორჯერ დაამარცხა ქართველთა ლაშქარმა (პირველად მჭადიჭვრის მეორედ კი – ყარლის ციხეებთან).

1757 წ. – იმერეთის მეფე სოლომონI-მა, სოფ. ხრესილთან სასტიკად დაამარცხა ისმალთა მრავალრიცხვოვანი ჯარი.

1758 წ. – შეიკრიბა სამხედრო კავშირი თეიმურაზ II. ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს შორის.

1759 წ. – სოლომონ I-მა იქმალა "ტყვეთა სყიდვა".

1762 წ. – გარდაიცვალა პეტერბურგში მყოფი (გაემგზავრა 1760) თეიმურაზ II ერეკლე II-მ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა. აღმოსავლეთ საქართველო გაერთიანდა.

1765 წ. – დიდგვაროვანთა ნაწილმა, რომელსაც სათავეში ედგა ვახტანგ VI-ის უკანონო ვაჟი პატა ბატონიშვილი, შეთქმულება მოაწყო ერეკლე II-ის წინააღმდეგ. შეთქმულება გამეღავნდა და მისი მონაწილენი სასტიკად იქნენ დასჯილნი.

1768 წ. – სოლომონ I რუსეთში გაგზავნა ელჩობამ მაქსიმე ქუთათელის მეთაურობით და ითხოვა მფარველობა.

1769 წ. – საქართველოში შემოვიდა რუსთა მცირერიცხვანი ჯარი გენერალ ტოტლებენის მეთაურობით (480 კაცი).

1770 წ. 20 აპრილი-ტოტლებენის მიერ მიტოვებულმა ერეკლემ, აპინძასთან სასტიკად დაამარცხა თურქთა ჯარი.



- 1774 წ. – ერეკლე II -ის ინიციატივით შეიქმნა ე.წ. „შორიგე გარემოსადა  
რომლის არსებობაც იძლეოდა საშუალებას მუდმივ მზად  
ყოფნაში ყოფილყო მეომართა გარკვეული რაოდენობა.  
„შორიგე გარს“ დიდხანს არ უარსებია.
- 1783 წ. 24 ივლისი – ციხე გეორგიევსკში დაიღო ხელშეკრულება  
(ტრაქტატი) რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის. ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთი შედიოდა რუსეთის მფარველობის ქვეშ. ქართლ-კახეთის სამეფო კარი კი ხელს იღებდა უფლებათა გარკვეულ ნაწილზე (ძირითადად საგა-  
რეო პოლიტიკის სფეროში).
- 1785 წ. – აღმოსავლეთ საქართველოს შემოესია ხუნძაბის მმართ-  
ვლი ომარ-ხანი. ერეკლე II იძულებული გახდა ეკისრა  
ხარჯის გადახდა.
- 1790 წ. – საქართველოს მეფე მთავრებს შორის შეიკრა სამხედრო  
პოლიტიკური კავშირი.
- 1795 წ. 11 სექტემბერი – კრწანისის ველზე ორანის შაპმა-ალა-  
შაპმალ-ხანმა, მოლალატეთა ხელშეწყობით (ეს მოლალატენი  
იყვნენ ბებუთოვი და არარატიანცი) დაამარცხა ქართველთა  
ჯარი და სასტიკად დაარბია თბილისი.
- 1798 წ. 11 იანვარი – გარდაცვალა ერეკლე II.
- 1798-1800 წ.-გიორგი XII-ის (ერეკლეს ძე) მეფობის პერიოდი  
ქართლ-კახეთში.
- 1799 წ. – განახლდა გეორგიევსკის ტრაქტატი. განახლებული  
ტრაქტატით რუსეთის პრეზიდენტივად მიიჩნეოდა ქართლ-  
კახეთის როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკა. ხოლო  
რუსეთს ქართლ-კახეთში უნდა დაეტოვებინა ნომინალური  
მეფობა.
- 1800 წ. 28 დეკემბერი – გიორგი XII გარდაცვალა.

- 1801 წ. 18 იანვარი - რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა გამოსცა  
მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და დამოუკიდებლის რუსეთთან შეერთების შესახებ, რაც დაადასტურა 1801 წ. 12 სექტემბერს რუსეთის ახალი იმპერატორის (ტახტზე ავიდა 1801 წ. მარტში) ალექსანდრე I-ის მიერ გამოცემულმა მანიფესტმა ქართლ-კახეთმა დაკარგა სახელმწიფო ბრიობა.
- 1802 წ. 12 აპრილი - სიონის ტაძარში შეკრებილ ქართველ დიდგვაროვნებს შპაცნეს 12 სექტემბრის მანიფესტი და დებულება ახალი მმართველობის შემოღების შესახებ, რამაც დიდი უკავყაფილება გამოიწვია. საქართველოს მთავარმმართებელი ენორინგი იძულებული გახდა ჩეპჩესიული ზომებისათვის მიემართა. კერძოდ, მან დაპატიმრა გავლენიანი თავადები - მაჩაბელი, ამირეჭიბი და სხვანი. საქართველოში დაიწყო ეროვნულ-განმანთვისუფლებელი მოძრაობა რუს დამპყრობელთა წინააღმდეგ.
- 1802 წ. - კახეთში, სოფ. ჭელმენიურში ქართველ ბატონიშვილთა მეთაურობით მომზადდა შეთქმულება, რომელიც, ძირითადად, 1783 წლის ტრაქტატის პირობების აღდგენას მოითხოვდა. რუსთა ჯარის ნაწილებმა გენერალების გულიაკოვისა და ლაზარევის მეთაურობით შეძლეს შეთქმულთა მოთავების დიდი ნაწილის დაპატიმრება. შეთქმულება მარცხით დასრულდა.
- 1803 წ. ივლისი - სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა შიოლი რუსეთის ქვეშევრდომობა, თუმცა მას დარჩა შინაგანი თვითმმართველობა.
- 1804 წ. 25 აპრილი - იმერეთის მეფე სოლომონ II იძულებული გახდა დათანხმებულიყო რუსეთის ქვეშევრდომობაზე, რაც გაფორმდა სოფ. ელაზნაურში მიღწეული. შეთანხმებით იმერეთში რუსეთის ჯარის ნაწილები შევიდნენ (ისევაროვნობის სამეგრელოში).



- 1804 წ. – აჯანყდა ქართლის მთიანეთი. აჯანყბულთა მოთხოვნები იყო როგორც ეროვნული, ისე სოციალური ხასიათისა და გამოსვლას სათავეში ფარნაოზ ბატონიშვილი ჩაუდგა. რუსულმა აღმინისტრაციამ მოახერხა აჯანყბის ჩაბშობა, მაგრამ, ამავე დროს, იძულებული გახდა ნაწილობრივ დაეკმაყოფილებინა (თუმც კი ძლიერ მცირე დოზით) აჯანყბულთა მოთხოვნები.
- 1806-1812 წ.წ. – მიმღინარეობდა რუსეთ-ფურქეთის ომი, რომლის დროსაც სოლომონ II-მ დატოვა ქუთაისი და დაიწყო ბრძოლა იმერეთიდან რუსთავის გაყანის მიზნით.
- 1810 წლის თებერვალი – მთავარმართებელმა ტორჩასოვა სოლომონ II მიიწვია გორში თითქოსდა მოლაპარაკებისათვის, მაგრამ მუხანათურად დაპატიმრა და თბილისს ჩაიყანა რუსეთში გადასახლების მხებით. ერთგული პირების დახმარებით სოლომონმა მოახერხა გაქცევა, დაბრუნდა იმერეთში და სათავეში ჩაუდგა ანტირუსულ აჯანყბას. რუსთა ჭარბა როთვიანი ბრძოლის შემდეგ მოახერხა აჯანყბის ჩაქრობა. სოლომონ II-მ თავი თურქეთს შეაფარა, სადაც 1815 წ. გარდაიცვალა. მისი ნებრი 1990 წ. ჩამოასვენეს საქართველოში.
- 1810 წ. – რუსეთის მფარველობაში შევიდა აფხაზეთის სამთავრო (ამ დროს მთავარი იყო გიორგი შერგაშიძე).
- 1811 წ. – ცარიზმის მიერ გაუქმებულ იქნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II გადასახლეს რუსეთში.
- 1812 წ. იანვარი – კახეთში იუეთქა აჯანყბამ ეროვნული და სოციალური ჩაგრის წინააღმდეგ. თავდაპირველად აჯანყბულებმა წარმატებები მოიპოვეს მის ჩასაშობად გაგზავნილ ჭარის ნაწილებთან ბრძოლაში, მაგრამ მთავრობამ გაგზავნა დოლი ჭარი გენერალ მარკიზ პაულიშვილის სარდლობით, რომელმაც მარტის შუა რიცხვებისათვის მოახერხა

მარიამ გელაშვილი  
მთავრობის მინისტრი

აჭანქუბის კერძის ლიკვიდაცია. ამავე დროს, მთავრობის მიუღებული გახდა რიგ დათმობებზე წასულიყო.

1819-1820 წ.წ. – იმერეთისა და გურიის აჭანქუბა რუსული მმართველობის წინააღმდეგ. 1820 წ. ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში, სამხედრო ექსპადიციამ გენ. ველიამინოვის მეთაურობით შეძლო აჭანქუბის კერათა ლიკვიდაცია.

1825 წ. – პეტერბურგში ქართველ არისტოკრატთა ნაწილი ქმნის საიდუმლო წრეს, რომლის მიზანია ბრძოლა რუსული მმართველობის წინააღმდეგ.

1827 წ. – საიდუმლო წრის საქმიანობა პეტერბურგიდან თბილისში გადმოინაცვლა. ორგანიზაციის წევრები და თანამგრძნობის ურთიერთთან მიმოწერას აწარმოებდნენ ერთგვრი საიდუმლო ანბანის მეშვეობით, რომელიც შექმნა ორგანიზაციის ერთ-ერთმა დამარასებელმა, მღვდელმა ფილადელფიოს კიკნაძემ, რომელიც იყო, აგრეთვა, ავტორი შეთქმულთა საწესდებო დოკუმენტისა ("აქტი გონიური").

1832 წ. დეკმბერი – გამცემის (ისე ფალავანდიშვილის) წყალობით ფარული ორგანიზაციის არსებობა გამეორებული მთავრობას რეპრესიულ ზომებს მიმართა მის წევრთა წინააღმდეგ. ეს მოძრაობა ისტორიაში "1832 წლის შეთქმულების" სახელით არის ცნობილი.

1828-1829 წ.წ. – მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი. ანდრიანოპოლში დადებული ზავის თანაბად რუსეთის ხელი გადავიდა (ც. ი. საქართველოს დაუბრუნდა) ახალცხა, ახალქალაქი, აწყური, ხერთვისი, ასპინძა და სამხრეთ საქართველოს სხვა ტერიტორიები.

1841 წ. მაისი – გურიაში დაიწყო გლეხთა აჭანქუბა, რომელიც სექტემბრის დასაწყისში ჩატარდილ იქნა.

1856-1857 წ.წ. – გლეხთა დიდი აჭანქუბა სამეგრელოში. 1857 წ. მაისში აჭანქუბულებმა დაიკავეს სამეგრელოს მთავრის



რეზილენცია ქ. ზუგდიდში. სამეგრელოს დედოფალმა (ქადაგის მემკვიდრეობის ასული ეკატერინე) დახმარებისათვის რუსთა ჭარს მიმართა. ნოემბერში აჯანყება სასტიკად ჩახშვეს რუსთა სამხედრო ნაწილებმა გენ. კოლუმბიაკინის მეთაურობით.

1857 წ. – რუსეთის მთავრობამ გააუქმა სამეგრელოს სამთავრო, რომლის დედოფალიც – ეკატერინე ჭავჭავაძე-დაღიანისა, ოჯახითურთ პეტერბურგს გაიწვიეს. (გაცილებით ადრე – 1828 წ. გაუქმდებულ იქნა გურიის სამთავრო).

1858 წ. – გაუქმებულ იქნა სვანეთის სამთავრო. მთავარი – კონსტანტინე დადეშქელიანი, რომელმაც სასიკვდილოდ დაჭრა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინი, და-ვრიოტეს.

1864 წ. – რუსეთის მთავრობამ გააუქმა აფხაზეთის სამთავრო. მთავარი – მიხეილ შერვაშიძე რუსეთში გადასახლეს, სადაც (ქ. ვორონეჟში) 1865 წ. გარდაიცვალა.

1864 წ. – აღმოსავლეთ საქართველოში გაუქმდა ბატონიშვილის ბატონიშვილისა შესაბამისად გაუქმდა:

1865 წ. – იმერეთში;

1867 წ. – სამეგრელოში;

1870 წ. – აფხაზეთში;

1871 წ. – სვანეთში;

1865 წ. – თბილისში იფეთქა ხელოსანთა აჯანყებამ, რომლის ძირითადი მიზეზიც მძიმე ცეკვომიცური მდგომარეობა იყო. თუმცა აჯანყება ჩახშობილ იქნა, მთავრობა იძულებული გახდა წასულიყო რიგ დათმობებზე.

- 1866 წ. – გლეხთა აჭანყება აფხაზეთში. აჭანყება მთავრობის ჭა-  
რებმა სასტკად ჩაატარეს.
- 1867 წ. – ძალაში შევიდა სასამართლო რეფორმა.
- 1874 წ. – საქალაქო რეფორმა შეეხო თბილისს. ჩატარდა (18  
ნოემბერს) ქალაქის სათათბიროს ხმოსანთა არჩევნები.
